

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №10
2023 წლის 28 აპრილი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.141.016364) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დამტკიცდეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 24 413 252 (ოცდაოთხი მილიონ ოთხას ცამეტი ათას ორას ორმოცდათორმეტი) ლარის ოდენობით და ხარჯები 26 577 055 (ოცდაექვსი მილიონ ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ათას ორმოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით. გარდამავალი ნაშთი შეადგენს 3 375 158 (სამი მილიონ სამას სამოცდათხუთმეტი ათას ას ორმოცდათვარემეტი) ლარი.

2. „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №21 დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიციან

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

დანართი

თავი I. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	17 774,9	31 587,2	24 666,8	6 920,4	24 303,3	18 350,0	5 953,3
გადასახადები	9 097,0	20 160,0	20 160,0	-	13 900,0	13 900,0	-



გრანტები	7 223,5	10 160,4	3 240,0	6 920,4	8 368,3	2 415,0	5 953,3
სხვა შემოსავლები	1 454,4	1 266,8	1 266,8	-	2 035,0	2 035,0	-
II. ხარჯები	8 412,6	13 114,9	12 832,4	282,5	14 856,0	14 668,3	187,7
შრომის ანაზღაურება	1 377,0	2 309,8	2 309,8	-	2 668,9	2 668,9	-
საქონელი და მომსახურება	2 287,8	3 853,5	3 631,0	222,5	3 987,6	3 799,9	187,7
პროცენტი	41,6	39,9	39,9	-	31,3	31,3	-
სუბსიდიები	3 571,1	4 981,1	4 981,1	-	5 842,5	5 842,5	-
გრანტი	70,0	85,0	85,0	-	92,0	92,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	842,2	1 370,5	1 370,5	-	1 500,0	1 500,0	-
სხვა ხარჯები	222,9	475,1	415,1	60,0	733,7	733,7	-
III. საოპერაციო სალდო	9 362,3	18 472,3	11 834,4	6 637,9	9 447,3	3 681,7	5 765,6
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 194,1	12 435,0	5 079,5	7 355,5	11 530,6	5 659,0	5 871,6
ზრდა	8 262,5	12 545,0	5 189,5	7 355,5	11 640,6	5 769,0	5 871,6
კლება	68,4	110,0	110,0	-	110,0	110,0	-
V. მთლიანი სალდო	1 168,2	6 037,3	6 754,9	- 717,6	- 2 083,3	- 1 977,3	- 106,0
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1 068,4	5 956,8	6 674,4	- 717,6	- 2 163,8	- 2 057,8	- 106,0
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-	-	-	-	-	-
კლება	- 1 068,4	- 5 956,8	- 6 674,4	717,6	2 163,8	2 057,8	106,0
ვალუტა და დეპოზიტები	- 1 068,4	- 5 956,8	- 6 674,4	717,6	2 163,8	2 057,8	106,0
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 80,5	- 80,5	- 80,5	-	- 80,5	- 80,5	-
კლება	80,5	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
საშინაო	80,5	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სესხები	80,5	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-	-	-
VIII. ბალანსი	19,3	0,0	0,0	-	- 0,0	- 0,0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი



დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	17 843,3	31 697,2	24 776,8	6 920,4	24 413,3	18 460,0	5 953,3
შემოსავლები	17 774,9	31 587,2	24 666,8	6 920,4	24 303,3	18 350,0	5 953,3
არაფინანსური აქტივების კლება	68,4	110,0	110,0		110,0	110,0	-
გადასახდელები	16 774,9	25 740,4	18 102,4	7 638,0	26 577,1	20 517,8	6 059,3
ხარჯები	8 431,9	13 114,9	12 832,4	282,5	14 856,0	14 668,3	187,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 262,5	12 545,0	5 189,5	7 355,5	11 640,6	5 769,0	5 871,6
ვალდებულებების კლება	80,5	80,5	80,5	-	80,5	80,5	-
ნაშთის ცვლილება	1 068,4	5 956,8	6 674,4	- 717,6	- 2 163,8	- 2 057,8	- 106,0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 24 303,3 ათასი ლარით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	17 774,9	31 587,2	24 666,8	6 920,4	24 303,3	18 350,0	5 953,3
გადასახადები	9 097,0	20 160,0	20 160,0	-	13 900,0	13 900,0	-
გრანტები	7 223,5	10 160,4	3 240,0	6 920,4	8 368,3	2 415,0	5 953,3
სხვა შემოსავლები	1 454,4	1 266,8	1 266,8		2 035,0	2 035,0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 13 900,0 ათასი ლარით:

		2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
--	--	-----------------	-----------------



დასახელება	2021 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	9 097,0	20 160,0	20 160,0	-	13 900,0	13 900,0	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	1 025,0	11 260,0	11 260,0		5 000,0	5 000,0	
ქონების გადასახადი	8 072,0	8 900,0	8 900,0	-	8 900,0	8 900,0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7 748,5	8 730,0	8 730,0		8 730,0	8 730,0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,6	3,0	3,0		3,0	3,0	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	12,1	2,0	2,0		2,0	2,0	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	99,0	82,0	82,0		82,0	82,0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	207,8	83,0	83,0		83,0	83,0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 8 368,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
გრანტები	7 223,5	10 160,4	8 368,3
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	193,0		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7 030,5	10 160,4	8 368,3
გათანაბრებითი ტრანსფერი		3 000,0	2 000,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	215,0	240,0	415,0
კაპიტალური ტრანსფერი	6 815,5	6 860,4	5 953,3
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის:		60,0	-
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე		60,0	
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები			
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების			



მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 2 035,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1 454,4	1 266,8	2 035,0
შემოსავლები საკუთრებიდან	766,4	635,8	830,0
პროცენტები	442,8	400,0	500,0
რენტა	323,6	235,8	330,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	416,8	371,0	780,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	391,2	349,0	758,0
სანებართვო მოსაკრებელი	6,9	7,0	10,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	6,8	7,0	8,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	341,7	300,0	700,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	35,8	35,0	40,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25,6	22,0	22,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	248,6	260,0	425,0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	22,6		
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 14 856,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	8 412,6	13 114,9	12 832,4	282,5	14 856,0	14 668,3	187,7



შრომის ანაზღაურება	1 377,0	2 309,8	2 309,8	-	2 668,9	2 668,9	-
საქონელი და მომსახურება	2 287,8	3 853,5	3 631,0	222,5	3 987,6	3 799,9	187,7
პროცენტები	41,6	39,9	39,9	-	31,3	31,3	-
სუბსიდიები	3 536,9	4 981,1	4 981,1	-	5 842,5	5 842,5	-
გრანტები	70,0	85,0	85,0	-	92,0	92,0	-
სოციალური უზრუნველყოფა	842,2	1 370,5	1 370,5	-	1 500,0	1 500,0	-
სხვა ხარჯები	222,9	475,1	415,1	60,0	733,7	733,7	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11 530,6 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 11 640,6 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 110,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	349,6	654,2	710,1
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	349,6	654,2	710,1
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 812,9	10 973,9	10 661,6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4 878,0	5 826,2	5 138,8
02 02	წყლის სისტემების განვითარება	317,7	927,6	1 660,2
02 03	გარე განათება	7,5	49,1	33,7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	553,0	3 007,2	1 965,1
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	240,4	293,8	856,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	816,3	870,0	1 007,3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	-	-	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	-	-
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
04 00	განათლება	1 072,4	890,9	268,9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	12,5	-	-



04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	992,8	738,2	263,8
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	67,1	152,7	5,1
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	25,6	26,0	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	-	-	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	25,6	26,0	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,0	-	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	2,0	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	8 262,5	12 545,0	11 640,6

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	68,4	110,0	110,0
ძირითადი აქტივები	57,5	30,0	30,0
არაწარმოებული აქტივები	10,9	80,0	80,0
მიწა	10,9	80,0	80,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 114,4	5 054,9	5 723,6
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 992,3	4 934,5	5 692,3
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 992,3	4 867,6	5 490,3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	66,9	202,0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	122,1	120,4	31,3
7.2	თავდაცვა	102,9	158,7	196,3
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	102,9	158,7	196,3
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 257,0	6 685,7	6 009,1



7.4 5	ტრანსპორტი	5 257,0	6 685,7	6 009,1
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5 257,0	6 685,7	6 009,1
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	-	-	-
7.5	გარემოს დაცვა	735,6	957,4	1 096,7
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	735,6	957,4	1 096,7
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2 505,7	5 981,7	6 404,1
7.6 1	ბინათმშენებლობა	-	-	-
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6 3	წყალმომარაგება	356,0	1 185,2	1 871,0
7.6 4	გარე განათება	306,9	422,0	421,0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1 842,8	4 374,5	4 112,1
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	247,7	275,2	299,0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	247,7	275,2	299,0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 241,7	1 825,0	1 970,2
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	564,6	927,5	1 015,2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	642,5	845,6	897,1
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	34,6	51,9	57,9
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	-	-	-
7.9	განათლება	2 687,5	3 394,2	3 297,6
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2 509,9	3 085,8	3 104,8
7.9 2	ზოგადი განათლება	177,6	308,4	192,8
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	177,6	308,4	192,8
7 10	სოციალური დაცვა	897,6	1 422,9	1 500,0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	37,2	66,1	68,0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	-
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	321,2	563,2	555,0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	17,0	45,0	100,0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	522,2	748,6	777,0
	სულ	16 790,1	25 755,7	26 496,6



მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს - 2 083,3 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 9 447,3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9 362,3	18 472,3	9 447,3
მთლიანი სალდო	1 168,2	6 037,3	- 2 083,3

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს - 2 163,8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1 068,4	5 956,8	- 2 163,8
ზრდა	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-
კლება	- 1 068,4	- 5 956,8	2 163,8
ვალუტა და დეპოზიტი	- 1 068,4	- 5 956,8	2 163,8

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 80,5 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასხეო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 281,7 ათას ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 201,2 ათასი ლარი.

თავი II. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 12 413,2 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა



02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	12 413,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6 009,1
02 01 01	გზების რეაბილიტაცია	5 138,8
02 01 02	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	870,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 871,0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1 824,7
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	46,3
02 03	გარე განათება	421,0
02 03 01	გარე განათების რეაბილიტაცია	313,7
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	107,3
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 248,3
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2 248,3
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	856,5
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1 007,3

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		5 138,8
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომატურცხი- ბურნაშეთამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბურნაშეთის სკოლამდე • ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზიდან სოფ.ხანდო-სოფ.ვარევანის საჯარო სკოლამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია • სოფ.აბული - კარტიკამის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი) • სოფ.ქარცეფი-აფნიას გზის რეაბილიტაცია (ვარძიის ხევამდე) • სოფ. პტენა - ჩუნჩხა გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები • სოფ.ხავეთის-დავნიის-ერინჯის გზის მონაკვეთის რკ/ბეტონის საფარის მოწყობ 		
მოსალოდნელი შედეგი	ქუჩების და სასოფლო გზების მდგომარეობა გაუმჯობესდება,		

კოდი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	----------------------------------



პროგრამის დასახელება	გზების მოვლა შენახვის ხარჯები	
	02 01 02	870,3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.</p> <ul style="list-style-type: none"> • დაზიანებული ასფალტ ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება • სოფ. ბოზალის გზების მოხრეშვა • სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა • სხვადასხვა სპეც ტექნიკის დაქირავება 	
მოსალოდნელი შედეგი	<p>ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმომრავებს კომფორტულად.</p> <p>ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ექნება ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრამდე შეუფერხებელი მოძრაობა</p>	

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		1824,7
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა- რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ახალქალაქში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლუატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლუატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგია 1 ქვეპროგრამისაგან - სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლუატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <ul style="list-style-type: none"> • სოფ. სულდისა და დადემის სასმელი წლის სატუმბო სადგურის, შემკრები რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობა • სოფ. ვაჩიანში სასმელი წყლის ავზის რემონტი • სოფ. დილისკაში 320მეტრი სიგრძის ბეტონის წყლის ღია არხის მოწყობა • სოფ. ვარევანში ხელოვნური ტბის აშენება • სოფ. ალასტანში ხელოვნური ტბის აშენება • სოფ. გომანში სასმელი წყლის ავზის სახურავის მოწყობა 		



	<ul style="list-style-type: none"> • სოფ. ტურცხში ხელოვნური ტბის გასუფთავება • სოფ. დ. სამსარში სარწყავი არხები 3500 მეტრის ამოღება • სოფ. ბარალეტში სასმელი წყლის მილის შეცვლა 2500 მეტრი • სოფ. მოდეგამში სასმელი წყლის რეაბილიტაცია • სოფ. აგანაში სასმელი წყლის ხაზის მოწყობა 1500მეტრი • სოფ. ბავრის მდებარე ტბის მშენებლობა • სოფ. პატარა სამსარის წყლის მაგისტრალის მშენებლობა
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში იარსებებს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე ექნება შეუფერხებელი წვდომა; - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები იფუნქციონირებს გამართულად; - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრება დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		46,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ ახალქალაქის გარდა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდა და დაზიანების აღმოფხვრა. რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილია წყლის ტუმბო და გენერატორი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - საჭიროების შესაბამისად წყლის ახალი ტუმბოების შექმნა. <p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 3 სამტატო ერთეული თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯები</p> <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები. შინაარსის ტიპის მიხედვით სასმელი წყლის სისტემების ექსპლუატაციის ქვეპროგრამა მიეკუთვნება მომსახურების მიწოდების ტიპის ქვეპროგრამას, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები იფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	2023 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03 01		313,7
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში და ადმინისტრაციულ ერთეულებში (დასახლებულ პუნქტში), მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია</p> <ul style="list-style-type: none"> • გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება. • ს.გომანის გარე განათების მოწყობა • ს.იხტილიას გარე განათების მოწყობა • ს.კოთელიაში გარე განათების მოწყობა • პირველი სამხედრო ქალაქის და ახალქალაქის დამაკავშირებელი ხიდზე გარე განათების 		



	მოწყობა(
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		107,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში) ნაწილობრივად. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; • დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. 		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათასი ლარი
	02 06 01		2 248,3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მოსადელების მოწყობა/რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნა- მოსახლეობის განწყობის ამაღლება.</p> <p>კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა შედგება ქვეპროგრამისაგან:</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით სკვერებისა და რეკრეაციული ზონების კეთილმოწყობა; კომფორტული და ჯანსაღი გარემო შექმნა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.</p> <ul style="list-style-type: none"> • ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწარმო და რჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა • მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერჯის მრიცხველების დაყენება • ნაგვის ურნების შექმნა 		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> • სოფ. კუმურდოს სკოლის ბილიკის ერთი მხრის შემოღობვა • სოფ. ქარცების კულტურული სახლის რეაბილიტაცია • სოფ. აზმანაში საბავშვო მოედნის შემოღობვა 800 მეტრი • სოფ. გოგაშენის კულტურული სახლის რეაბილიტაცია • სოფ. აფნის რიტუალების სახლის ჭერის რეაბილიტაცია 136კვ.მ • სოფ. კარწახის მინი ფეხბურთის მოედნის საბოლოო სამუშაოების შესრულება • სოფ. კარწახის მინი ფეხბურთის მოედნის საბოლოო სამუშაოების შესრულება • სოფ. დადემის მინი ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია • სოფ. მურჯახეთში მინიფეხბურთის მოედნის ხალიჩის მოწყობა- • სოფ. კორხში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია • სოფ. ორჯაში სპორტ დარბაზის აღდგენა • სოფ. არაგვაში საზოგადოებრივი ცენტრის რეაბილიტაცია • სოფ. ბალხოში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია • სოფ. ტურცხში ახალგზრდული სახლის რეაბილიტაცია • სოფ. დადოლარის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია • სოფ. აზავერეთის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია • სოფ. კულიკაში მინი სტადიონის ხალიჩის მოწყობა • სოფ. ბუზავეთში რიტუალების სახლის რეაბილიტაცია • ქ.ახალქალაქი აღმაშენებლის სკვერის რეაბილიტაცია • სოფ დილისკის კულტურის სახლის ფანჯრების შეცვლა • სოფ.ვაჩიანის სპორტული სტადიონის რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქი ჯივანის სკვერის რეაბილიტაცია • მურჯახეთის ხიდის მშენებლობა • ქ.ახალქალაქში დარბინიანის ქუჩაზე სკვერის მოწყობა • ქ. ახალქალაქის აღმაშენებლის სკვერში სავარჯიშო მოედნის მოწყობა • ქ. ახალქალაქის აღმაშენებლის ქუჩა #34 შენობის სახურავის რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქის ნალბანდიანის ქუჩაზე არსებული შენობის სახურავის რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქის აღმაშენებლის ქუჩა #36 შენობის სახურავის რეაბილიტაცია • ქ. ახალქალაქის ყოფილი სამხედრო ქალაქში საბავშვო მოედნის მოწყობა • ქ. ახალქალაქში არსებული შუქნიშნების მომსახურებისათვის • ვიდეოსამეთვალყურეო კამერის შექმნისთვის
მოსალოდნელი შედეგი	აღდგენილი და ახლად მოწყობილი სკვერები, მოსაცდელები; მოსახლეობისთვის შექმნილი კომფორტული საცხოვრებელი გარემო; სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		856,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებითაც.</p> <p>საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება</p>	
მოსალოდნელი შედეგი		ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდარტებს)	



პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათასი ლარი
	02 09		1007,3
პროგრამის განმახორციელებელი	ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მცხეთის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 5 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 6 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 8 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:</p> <p>ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი;</p> <p>ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩეველს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში;</p> <p>იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 096,7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 096,7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 015,0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	81,7

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1015,0
პროგრამის			



განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავშიდი მანქანები.</p> <p>დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი, კუმურდო, ხოსპიო, გომანი, ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა, ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავშიდი.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქალაქის ახალქალაქის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; დასუფთავდება მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები და მათ შორის ქ. ახალქალაქის მიმდინარე ტერიტორია და მოსახლეობისათვის გასართობი ადგილები.

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		81,7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის სერვისცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა, გაკირვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ ახალქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 6 საშტატო ერთეულისაგან.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელოვითი სამუშაოები.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 297,6 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და



პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	3 297,6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 621,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	483,8
04 03	განათლების ღონისძიებები	192,8

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		2621,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალქალაქის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავ კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 სრული საბავშვო ბაღი და 3 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1100 -ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 253 ადამიანი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:		
	ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;		
	საბავშვო ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;		
	საბავშვო ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;		
	ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;		
	ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.		
	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა		

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის



მოსალოდნელი შედეგი	წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1200 ბავშვი, ქ. ახალქალაქიდან და 31 სოფლებიდან.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		483,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ყოველწლიურად ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> • საბავშვო ბაღების მოსწავლეების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა • სოფ. კულიკაში საბავშვო ბაღის ერთი ოთახის 15 კვ.მ აშენება და 300მეტრი წყლის გაყვანა • სოფ. კუმურდოს საბავშვო ბაღის მშენებლობა 		
მოსალოდნელი შედეგი	განათლების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		192,8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დეღეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში მცხოვრებ სკოლის მოსწავლეებს რომლებშიც არ არის საჯარო სკოლები შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სასკოლო ტრანსპორტით და მიიღონ საშუალო განათლება.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1958,9 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული



პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1 970,2
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 015,2
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	131,3
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	883,9
05 01 02 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	286,1
05 01 02 02	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	67,7
05 01 02 03	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	282,1
05 01 02 04	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	248,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	955,0
05 02 01	კულტურის ღონისძიებები	158,1
05 02 02	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	739,0
05 02 02 01	საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა	122,1
05 02 02 02	საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა	197,0
05 02 02 03	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	178,6
05 02 02 04	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	77,6
05 02 02 05	ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება	58,0
05 02 02 06	აშუგის სკოლის ხელშეწყობა	30,7
05 02 02 07	მომავლის სახლის ხელშეწყობა	75,0
05 02 03	საინფორმაციო პროგრამა	57,9

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		131,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით. პროგრამის მიზანია: ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენების დაჯილდოება, ასპორტული ინვენტარის შეძენა.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტ ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული და სხვა;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		286,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფეხბურთი • მინი ფეხბურთი • მაგიდის ჩოგბურთი • რაგბი • კარატე • ფრენბურთი • თავისუფალი სტილით ჭიდაობა <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (ფრენბურთი; ფეხბურთი; ჭიდაობა; რაგბი; კარატე, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტული სკოლით სარგებლობს 180 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		67,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს ჭადრაკის სექცია სოფელ დილისკაში სადაც ირიცხება 40 მოსწავლე.</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p>		



	მუნიციპალიტეტში საჭადრაკო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;
მოსალოდნელი შედეგი	საჭადრაკო სკოლა მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საჭადრაკო სკოლით სარგებლობს 75 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 03		282,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტული კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კრივი; • კიკბოქსინგი; • კარატე; • კარატე კიოკუშინკაი; • სათხილამურო სპორტი სოფელ არაგვაში; <p>ფუნქციონირებს სპორტული სექციები მუნიციპალიტეტის სოფლებში კერძოდ:</p> <p>სოფელ კარტიკაში კრივის სექცია -50 მოსწავლე;</p> <p>კარატეს სექცია სოფელ მაჯადიაში - 25 მოსწავლე;</p> <p>ჭიდაობის სექცია სოფელ დილისკაში - 90 მოსწავლე;</p> <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას (კრივი, კიკბოქსი, კარატე, სათხილამურო სპორტი და სხვა), ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას;</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტ-კომპლექსი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხემისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეებით სარგებლობა; სპორტ-კომპლექსით სარგებლობს 408 მოსწავლე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცურაო სპორტისა და ფიტნესის განვითარების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 04		248,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის დახურული საცურაო აუზი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ფუნქციონირებს შემდეგი სექციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ცურვა • ფიტნესი <p>მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.</p>		



	ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში საცურო სპორტის განვითარება. ახალგაზრდების დაინტერესებას, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა რიცხვის ზრდას და მათ პროფესიონალ სპორტსმენებად ჩამოყალიბებას:
მოსალოდნელი შედეგი	საცურო აუზი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; საცურო აუზით სარგებლობს 120 მოსწავლე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		158,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	
